ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1207198

ნომერი: AR1209497

თარიღი : 03.04.2014

გაცემის თარიღი : 07.04.2014

გაცნობის თარიღი : 10.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , 58-ე კორპუსისა და ფორე მოსულიშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქრისტინა ხურცილავა პ/ნ 62001013821
- სოხუმი ლაკერბაიას ქ. N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსის მოწყობისა და

არსებული კარის ღიობის დემონტაჟის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, დასახლება გლდანი, "ა" მ/რ, კორპ. #58–სა და ფორე მოსულიშვილის ქუჩის მიმდებარედ, შპს "დიამონდი"–ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსის მოწყობას და არსებული კარის ღიობის დემონტაჟს. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.12.017.057; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, იჯარის ხელშეკრულება) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, დასახლება გლდანი, "ა" მ/რ, კორპ. #58–სა და ფორე მოსულიშვილის ქუჩის მიმდებარედ, შპს "დიამონდი"–ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსის მოწყობისა და არსებული კარის ღიობის დემონტაჟის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge